სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

25 აგვისტო, 2025 წ.

ბრძანება № 01-02/161

ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების
საგანმანათლებლო პროგრამაზე 2025-2026 სასწავლო წლისათვის მიღების
გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე და 47^2 მუხლების, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის № 111/ნ ბრძანების, ,,მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე/სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისთვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 3 ოქტომბრის №157/ნ ბრძანების (ცვლილება- 2025 წლის 11 აგვისტოს №62/ნ ბრძანებით), ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, „2025–2026 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის №06-01/65 დადგენილების, 2025–2026 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარის, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათების (N841762, 08/07/2025; N998589, 19/08/2025) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2025-2026 სასწავლო წლისათვის **გამოცხადდეს მიღება** ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის **მასწავლებლის მომზადების** საგანმანათლებლო პროგრამაზე (60 კრედიტი), ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული კონტიგენტის ფარგლებში (65 ადგილი), წინამდებარე ბრძანების **N1 დანართით** გათვალისწინებულ მოდულებზე.
2. აპლიკანტთა რეგისტრაცია განხორციელდეს **2025 წლის 02 სექტემბრიდან 10 სექტემბრის** ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა) 12:00 საათიდან 16:00 საათამდე (რეგისტრაციის ადგილი: ქალაქი ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა 32/35, ბსუ-ს N2 კორპუსი, №213 ოთახი).
3. აპლიკანტმა რეგისტრაციისთვის უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება და ანკეტა (შევსებული **№2 დანართის** და **№3 დანართის** შესაბამისად);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ)მიმართულების შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის, სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომის (თანდართული დანართით)

ნოტარიულად დამოწმებული ასლი (2025 წლის კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ);
ე) ფოტოსურათი, ზომით 3X4–ზე;
ვ)სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის).

4. **მისაღები გამოცდა ჩატარდეს 2025 წლის 12 სექტემბერს, წერითი ფორმით** (მაქსიმალური შეფასება - 100 ქულა, მინიმალური ზღვარი - 51 ქულა) ბსუ-ს საგამოცდო ცენტრში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქუჩა №12), პირველი ცვლა: გამოცდის დაწყების დრო - 10^{00} სთ, დასრულების დრო - 13^{00} სთ, მეორე ცვლა: გამოცდის დაწყების დრო - 14^{00} სთ, დასრულების დრო - 17^{00} სთ.

4.1. მისაღები გამოცდის **შედეგები** გამოცხადდეს ბსუ-ს ვებგვერდზე 2025 წლის **15 სექტემბერს** (აპლიკანტების პირადი ნომრების მითითების გარეშე);

4.2. საპრეტენზიო განცხადება (არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი იქნეს 2025 წლის 16 სექტემბერს, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია), ბსუ-ს N1 კორპუსში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. N35/32, N1 ოთახი);

4.3. საპრეტენზიო განცხადებების განხილვა მოხდეს 2025 წლის 17 სექტემბერს;

4.4. ბსუ-ს მასწავლებლის პროგრამაზე მისაღები გამოცდის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე 2025 წლის 17 სექტემბერს.

5. მისაღები გამოცდის საბოლოო შედეგების დაინტერესებულ მხარეთათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის შემდეგ, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის/სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ **შეიქმნას რანჟირების დოკუმენტი**, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და ბსუ-ში ჩატარებულ გამოცდაზე აპლიკანტთა მიერ მიღებული ქულების შესაბამისად.

6. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

7. რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს 2025 წლის **18 სექტემბერს,** 11:00 საათიდან 17:00 საათამდე (ხელშეკრულების გაფორმების ორგანიზება უზრუნველყოს აპლიკანტთა დოკუმენტაციის მიმღებმა კომისიამ, ქალაქი ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა 32/35, ბსუ-ს N2 კორპუსის №213 ოთახში).

8. ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ **ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს არაუგვიანეს 2025 წლის 23 სექტემბრისა,** ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

9. შეიქმნას აპლიკანტთა განცხადების/ანკეტის და სხვა დოკუმენტაციის **მიმღები კომისია,** ასევე **საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიები,** წინამდებარე ბრძანების **№4 დანართის**

შესაბამისად და თავიანთი უფლებამოსილებები განახორციელონ ,,პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის № 111/ნ ბრძანების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა" და ამ ბრძანების შესაბამისად.

10. წინამდებარე ბრძანების აღსრულების მიზნით ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა/ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს:

ა) ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების შესახებ განცხადების ტექსტის მომზადება და გამოცდის ჩატარების ფორმატისა და სხვა დამატებითი ინფორმაციის ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსების ორგანიზება;

ბ) ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში გაგზავნის კოორდინაცია, არაუგვიანეს 2025 წლის **1 ოქტომბრისა**.

11. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაციის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონულად გაგზავნა 2025 წლის **7 ოქტომბრის** ჩათვლით.

12. დაევალოს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) ბრძანება განათავსოს სამსახურთან და შესაბამის ფაკულტეტთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

13. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,კონკურსები", რექტორის ბრძანებებში და ასევე ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ველში).

14. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით (გ. ქათამაძე), ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტს, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

15. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**

„ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების
საგანმანათლებლო პროგრამაზე 2025-2026 სასწავლო წლისათვის მიღების
გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს N01-02/161 **ბრძანების**

დანართი N1

ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, რომელზეც **ცხადდება მიღება 2025-26 სასწავლო წლისათვის**	**ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა**
	პროგრამის **საგნ(ებ)ის/მოდულ(ებ)ის დასახელება**	ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია, გეოგრაფია, ისტორია, სამოქალაქო განათლება, ფიზიკური აღზრდა და სპორტი, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისტ), ფრანგული ენა
	ინფორმაცია პროგრამის დამტკიცების შესახებ (აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი)	დამტკიცებული - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 26 თებერვლის N8 დადგენილებით (განახლებული ცვლილებებით : N06-01/89, 24.10.2024 წ.)
	პროგრამაზე ადგილების ჯამური რაოდენობა	**65**
	სწავლების ენა პროგრამის მიხედვით	ქართული
	პროგრამის მოცულობა **კრედიტებში**	**60**

ინფორმაცია მოდულის შესახებ

№	პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით	**ადგილების რაოდენობა** თითოეული საგნის/მოდულის მიხედვით	სწავლის საფასური საგნის/მოდულის მიხედვით	**დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა**	ინფორმაცია საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობის შესახებ		
					უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგნის გამოცდა	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა	აპლიკანტისათვის განსაზღვრული სპეციალური პირობები
1	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური)	10	2250	10	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);	წერითი გამოცდა	
2	მათემატიკა (საბაზო და	5	2250	5	მათემატიკა (საბაზო ან/და	წერითი გამოცდა	

	საშუალო საფეხური)				საშუალო საფეხური);		
3	ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	10	2250	10	ინგლისური ენა(დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	წერითი გამოცდა	
4	გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2250	3	გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	წერითი გამოცდა	
5	რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2250	3	რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	წერითი გამოცდა	
6	ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2250	3	ფიზიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	წერითი გამოცდა	
7	ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2250	3	ქიმია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	წერითი გამოცდა	
8	გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2250	3	გეოგრაფია	წერითი გამოცდა	
9	ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური)	7	2250	7	ისტორია	წერითი გამოცდა	
10	სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	5	სამოქალაქო განათლება	წერითი გამოცდა	
11	სპორტი	3	2250	3	სპორტი	წერითი გამოცდა	
12	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	5	2250	5	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	წერითი გამოცდა	
13	ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2250	3	ბიოლოგია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	წერითი გამოცდა	
14	ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	2	2250	2	ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	წერითი გამოცდა	
		65		65			

,,ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების
საგანმანათლებლო პროგრამაზე 2025-2026 სასწავლო წლისათვის მიღების
გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს N01-02/ 161 **ბრძანების**
დანართი N2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს

_____

(აპლიკანტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი)

_____

(მისამართი, ტელეფონი, ელ. ფოსტა)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს სწავლა გავაგრძელო საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის **მასწავლებლის მომზადების** საგანმანათლებლო პროგრამის მოდულზე

_____

(პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის
მითითებით)

_____ „_____“ „_____“ 2025

წელი აპლიკანტის ხელმოწერა

,,ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების
საგანმანათლებლო პროგრამაზე 2025-2026 სასწავლო წლისათვის მიღების
გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს N01-02/ 161 **ბრძანების**
დანართი N3

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი

აპლიკანტის ანკეტა

სახელი ----------

გვარი ----------

დაბადების თარიღი ___/____/_____
რიცხვი თვე წელი

პირადი ნომერი_____

ფაქტობრივი მისამართი ----------

რეგისტრაციის მისამართი ----------

სქესი: □ მამრობითი □ მდედრობითი

მობილური/ტელეფონი ----------

ელფოსტა: ----------

ფაკულტეტი ----------

სასურველი საგანმანათლებლო პროგრამა ----------

პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება, საფეხურის მითითებით ----------
---

საგნის გამოცდა (ჩაბარებული გამოცდების ეროვნულ ცენტრში) ----------
---

მიღებული განათლება :

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა	კვალიფიკაცია	სწავლის პერიოდი

რომელ ენებს ფლობთ?

_____

_____

_

ამჟამად ხართ თუ არა რომელიმე უმაღლესი/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი/მასწავლებელი? (დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება და სტატუსი)

_____

_

_____

_

ვადასტურებ წინამდებარე ანკეტაში მითითებულ ინფორმაციისა და რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეს. ჩემთვის ცნობილია ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისა და სწავლის პირობები.

_____

(აპლიკანტის ხელმოწერა)

_____

(აპლიკანტის რეგისტრაციაზე
პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა) *თარიღი*

,,ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების
საგანმანათლებლო პროგრამაზე 2025-2026 სასწავლო წლისათვის მიღების
გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს N01-02/ 161 **ბრძანების**
დანართი N4

2025-2026 სასწავლო წლისათვის
ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე
აპლიკანტთა დოკუმენტაციის მიმღები კომისია

1. **მაია მაღულარია** - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტი;
2. ქეთევან თადუმაძე - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პედაგოგიურ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტის სპეციალისტი;
3. ნაირა სარჯველაძე - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მათემატიკის დარგობრივი დეპარტამენტის სპეციალისტი.

ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე
მისაღები საგამოცდო კომისია

1. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნატო შეროზია- კომისიის **თავმჯდომარე;**
2. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი ლელა თავდგირიძე - კომისიის წევრი;
3. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი ნანა მაკარაძე - კომისიის წევრი;
4. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნანი მამულაძე - კომისიის წევრი;
5. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ქეთევან შოთაძე - კომისიის წევრი;
6. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მარინე გურგენიძე - კომისიის წევრი;
7. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი დარეჯან გელაძე - კომისიის წევრი;
8. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი მაია ბოლქვაძე - კომისიის **მდივანი.**

ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტების საჩივრების განმხილველი

საპრეტენზიო კომისია

1. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი ლელა თურმანიძე - კომისიის **თავმჯდომარე;**
2. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მადონა მიქელაძე- კომისიის წევრი;
3. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნინო სამნიძე - კომისიის **მდივანი.**